საქართველოს
მელიორაცია
GEORGIAN
AMELIORATION

+995 032 00 10 00
info@ag.ge
www.ag.ge

N გ-2439
13/08/2021

2439-გ-2-202108131434

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ გიორგი კაპანაძეს

ბატონო გიორგი,

შპს „საქართველოს მელიორაციაში“ შემოსულია თქვენი 2021 წლის 23 ივლისის N34-342120454 წერილი, რომლებშიც დასმულია საკითხები მცხეთის მუნიციპალიტეტის წეროვნის დევნილთა დასახლებაში მდებარე, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 435 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ს/კ 72.08.28.635 პრივატიზებას, რომელსაც კვეთს ჩვენს საკუთრებაში სრსებული სარწყავი მილი ს/კ 72.00.757.

გაცნობებთ, რომ აღნიშნული ნაკვეთების ტერიტორიაზე გადის წეროვანის თვითდინებადი არხის დახურული პოლიეთილენის მილსადენი d=300მმ (ს/კ72.00.757), რომლის გასხვისების ზოლი შეადგენს მილსადენის ორივე მხარეს 4-4 გრძივ მეტრს, „სამელიორაციო სისტემების ნაგებობებისათვის მიწის ზოლებისა და ნაკვეთების მიჩენა-გასხვისების საამშენებლო ნორმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის მინისტრის 30.06.2003 წლის N19 ბრძანების შესაბამისად. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აღნიშნული მიწის (უძრავი ქონების) ნაკვეთების განკარგვის შესაბამის ხელშეკრულებებში გათვალისწინებული უნდა იქნას არხის გასხვისების ზოლების დაცულობა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შემდგომში ხსენებული მიწის ნაკვეთების რაიმე ფორმით გასხვისებამდე, მისი საკადასტრო აზომვითი ნახაზი უნდა გაიყოს სარწყავი მილის (ს/კ 72.00.757) კიდეებიდან ორივე მხარეს გასხვისების ზოლების დაცულობის შესაბამისად.

პატივისცემით,

გენადი კერძევაძე

გენერალური დირექტორი - მ.შ.

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE